

8

200

1.1.1/30/133

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

11.03.2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორეს მხრივ შპს „საქგზამეცნიერება“ (“შემდგომში-მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამაზ შილაკაძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,
ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება, რომლის პირობებიც განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართით (ტექნიკური დავალება), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
- 2.2 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი.
- 2.3 ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი **NSPA150003397**;
- 2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 35000,00 (ოცდათხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
- 2.5 კლასიფიკატორის კოდი - **71320000** საინჟინრო-საპროექტო მომსახურება;
- 2.6 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

- 3.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 (ასოცი) კალენდარული დღე.
- 3.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, წარმოადგინოს წინასწარი ანგარიში.
- 3.3 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს შუალედური ანგარიში.
- 3.4 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს საბოლოო ანგარიში.
- 3.5 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 საპროექტო დოკუმენტაცია ექსპერტიზისათვის წარედგინება შემსყიდველის მიერ შერჩეულ ექსპერტს (ექსპერტიზის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი);

4.3 შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნის გაცნობიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ან/და სამსახურის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 საპროექტო დოკუმენტაციების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.

6.4 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2015 წ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.3 ხელშეკრულების 8.2 და 8.3 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის (პირგასამტეხლოს) ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის (პირგასამტეხლოს) გადახდის შემდეგ.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) არ გამოყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულების 3.2, 3.3 და 3.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ერთჯერადი საჯარომო სანქცია სახელშეკრულებო ღირებულების 1%-ის ოდენობით.

8.3 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადის (მათ შორის ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის) დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.4 მომსახურების საბოლოო ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.

8.6 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,5 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
- ბ) ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის (10 სამუშაო დღე) დარღვევის შემთხვევაში.
- გ) მიმწოდებლის მიერ მომსახურების საბოლოო ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში.
- დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შედავათები არ ვრცელდება.

10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13. ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 577419556 საკონტ. პირი ბ-ნ თამაზ შილაკაძე, ელექტრონული ფოსტა: sakgzametsniereba@gmail.com;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 514 68 00 88 საკონტ. პირი ბ-ნი ნოდარ ხორბალაძე; ელექტრონული ფოსტა: ketilmotskoba@tbilisi.gov.ge.;

14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გიორგი სოლომონია
მერის მოადგილე


ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
საიდ. კოდი: 204521794
ა/ს GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი:

შპს „საქგზამეცნიერება“

თამაზ შილაკაძე
დირექტორი

შპს „საქგზამეცნიერება“
ქ. თბილისი, ჯიქიას 8ა
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდ. კოდი: 212272208
ა/ს: GE16BG0000000265723001



მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

პრეტენდენტის დასახელება – შპს “საქზამეცნიერება“

ფასთა ცხრილი


№	დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ქობილისში კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოების სრული საპროექტო დოკუმენტაციის დაკომპლექტება და წარმოდგენა ელექტრონული ვერსიისა (DWG და PDF ფორმატში, ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატი) და ნაბეჭდი სახით, ფონტით –“Sylfacn“, ხოლო ლათინური სიმბოლოები – “Calibri“-ით (თთხ ეგზემპლარად)	29661,02
2	ჯამი	29661,02
3	დღგ-18%	5338,98
4	სულ	35000,00

შპს “საქზამეცნიერების“
გენერალური დირექტორი

“20.....11..... 201 წ.

Handwritten signature

თ.შილაძე



შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

I. საპროექტო ობიექტის აღწერა

"კრწანისი-შინდისის" საავტომობილო გზის კმ 0+000 - კმ 4+750 მონაკვეთის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება (დასაწყისი: თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩის კვეთასთან ნადიკვარის შესახვევის გავლით, დასასრული - სოფელ შინდისში არსებულ ასფალტბეტონის საფარიან საავტომობილო გზასთან დაერთება).

მოცემული დავალების მიზანია დაახლოებით 4.75 კმ საერთო სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაციის დეტალური ტექნიკური პროექტისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შედგენა.

აღნიშნული გზა წარმოადგენს თბილისისა და მის სამხრეთით მდებარე უბნების, ოქროყანის, შინდისის და ტაბახმელის მიმართულებაზე მდებარე სოფლებისა და სააგარაკე ტიპის დასახლებების ერთ-ერთ საგზაო კავშირს. საპროექტო გზის მდებარეობა მოცემულია დაწარმ - ში. გზა გადის მთაგორიან რელიეფში, ტყის მასივში (კმ 0+900-დან კმ 3+800-მდე). საპროექტო გზის პირველი 500 მეტრი გადის მჭიდროდ დასახლებულ ქალაქის ტიპის ტერიტორიაზე, ხოლო ბოლო 700 მეტრი - სააგარაკე ტიპის ტერიტორიაზე. ვაკისის სიგანე 4-6 მეტრის ფარგლებში მერყეობს (ზოგ ადგილებში 3 მეტრამდე მცირდება). გზას გასწვრივ მიუყვება გაზსადენი მაგისტრალი რომელიც ფაქტიურად გზის წარბზეა მოწყობილი (კმ 0+600-დან 4+300-მდე) მაგისტრალი ძირითადად მარჯვენა მხარეს მდებარეობს, რამოდენიმე ადგილზე გადადის მარცხენა მხარეს (საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგენილი უნდა იყოს არსებული გაზსადენი მაგისტრალის განლაგების ცვლილების გარეშე ან მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი გაზსადენი მაგისტრალის გადაადგილება. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას გაზსადენი მაგისტრალის დაზიანებისგან დამცავი ჯებირების მოწყობა).

არსებული საგზაო სამოსი პირველ 500 მეტრ მონაკვეთზე წარმოადგენილია ახლად მოწყობილი ქვაფენილით (არსებული ქვაფენილის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა), შემდგომი 700 მეტრზე არის ხრეშოვანი საფარი, რის შემდეგ გზა გადის ყამირზე.

აღსანიშნავია 200 მეტრიანი მონაკვეთი (კმ 3+800-დან კმ 4+000-მდე), სადაც მიწის ვაკისის სიგანის შესანარჩუნებლად საჭირო იქნება ხელოვნური ნაგებობის (მზიდი კედლის) მოწყობა. გზა არ არის აღჭურვილი სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემით.

შემსრულებელი ვალდებულია გაითვალისწინოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგის მინიმუმამდე დაყვანა და საჭიროების შემთხვევაში შეათანხმოს დამკვეთ ორგანიზაციასთან და შესაბამის სამსახურებთან. შემსრულებელი ვალდებულია გაითვალისწინოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგის მინიმუმამდე დაყვანა და საჭიროების შემთხვევაში შეათანხმოს დამკვეთ ორგანიზაციასთან და შესაბამის სამსახურებთან. ასევე, საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დასახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ და 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საფუძველზე გათვალისწინებული უნდა იქნას მწვანე ნარგავის სახეობის და დიამეტრის მიხედვით აღდგენითი ღირებულება და/ან მწვანე ნარგავების ამოღება-გადარგვა შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში.

საჭიროების შემთხვევაში დაამუშავოს დაწარმოადგინოს სრულყოფილი განსახლების გეგმა.

II. საპროექტო მომსახურების მოცულობა

მომსახურების მოცულობა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

(ა) მიმწოდებელმა უნდა შეისწავლოს და გაანალიზოს საგზაო მონაკვეთის მთავარი მახასიათებლები, რომლებიც ასახავენ გზის არსებულ მდგომარეობას, მოიძიოს არსებული მონაცემები და ინფორმაცია, რის საფუძველზეც განახორციელებს გამტარუნარიანობის და საექსპლუატაციო პირობების შეფასებას.

(ბ) მიმწოდებელმა უნდა გაითვალისწინოს საპროექტო საგზაო მონაკვეთისათვის საჭირო ნაგებობების (მილების, წყალარინების სისტემების, საყრდენი კედლების და ა.შ.) საპროექტო სამუშაოები და დაამუშაოს მათთვის დანახარჯების მხრივ ეფექტური საპროექტო გადაწყვეტები.

(გ) დასახლებულ ტერიტორიებზე, მიმწოდებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესები და მინიმალური მოთხოვნები, როგორცაა კერძო სახლებთან მისასვლელების (გადაკვეთების), წყალსატარი არხების და მცირე ზომის დამცავი კონსტრუქციების (ჯებირების, კედლების და ა.შ.) მოწყობის საჭიროება. დიდ დასახლებულ პუნქტებში აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნას ტროტუარები, ავტობუსის გაჩერებები და სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოების პირობების გასაუმჯობესელი სხვა საშუალებები. ამასთან საგზაო ტრანსპორტის გასაჩერებელ ადგილებზე და ნარჩენების შემკრები კონტეინერებისთვის ჯიბეების (შეჭრა) ადგილების განსაზღვრა (დამკვეთთან შეთანხმებით) და შეთანხმება შესაბამის ორგანიზაციებთან; ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასასვლელების კონსტრუქციული ელემენტების გათვალისწინება პროექტში საქართველოში მოქმედი ნორმების შესაბამისად;

(დ) ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ტექნიკურ პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს საგზაო კუთვნილებების კომპონენტები (ზღუდარები, მიმართულების მაჩვენებელი და საინფორმაციო საგზაო ნიშნები) და, ასევე, საგზაო მონიშვნის სამუშაოები (ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების, უსაფრთხოების კუნძულების და სხვა მსგავსი ატრიბუტების მოწყობის მიზნით).

(ე) საინჟინრო დოკუმენტაციასა და სამშენებლო პროექტში წარმოდგენილი უნდა იქნეს გზის კონსტრუქციის, ასევე საგზაო ნაგებობების (მილების, საყრდენი კედლების, წყალარინების საშუალებების და ა.შ.) დეტალური დაპროექტების ნახაზები, გამოთვლები, სამუშაოს მოცულობების უწყისები, ტექნიკური სპეციფიკაციები და აზომვის მეთოდები.

(ო) საპროექტო გზისთვის მიმწოდებელმა უნდა შეადგინოს გარემოსდაცვითი მართვის გეგმა და წარმოადგინოს დაპროექტების ანგარიშის (განმარტებითი ბარათის) შემადგენელი ნაწილის სახით.

(ზ) შერჩეული გზის განივკვეთის მინიმალური საჭირო ზომის საფუძველზე, მიმწოდებელმა უნდა შეადგინოს საბაზისო ელექტრონული ცხრილი, რომელშიც კილომეტრაჟის მიხედვით და ფოტოსურათების გამოყენებით, წარმოდგენილი იქნება პროექტის განხორციელების შედეგად სოციალური ზემოქმედების მახასიათებლები (1) მიწის შესყიდვის და (2) განსახლების ღონისძიებების შემადგენლობით.

მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოები უფრო დეტალურად წარმოდგენილია ქვემოთ:

III. საპროექტო საკვლევაძიებო სამუშაოები:

მიმწოდებელმა უნდა შეასრულოს საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საჭირო საველე სამუშაოები, რომლებიც სულ მცირე მოიცავს შემდეგ დავალებებს:

III.ა. ტოპოგრაფიული საველე აზომვები:

აზომვები უნდა ჩატარდეს UTM WGS-84 სისტემაში, შესაბამისი რაოდენობის მყარი წერტილების (გეგმურ-სიმაღლური წერტილები) შექმნით და ქვეყანაში მოქმედ ერთიან სისტემასთან (Continuously Operating Reference Station ("CORS")) თავსებადობით. აზომვები უნდა ჩატარდეს მაქსიმუმ 20 მეტრიანი ინტერვალით და გზის ყველა მნიშვნელოვან წერტილში, მაგ. მკვეთრ მოსახვევებში, ამაღლებულ ადგილებში და ა.შ. აზომვის სიგანე გზის ღერძის გასწვრივ 15-15

მეტრია ორივე მხარეს. აზომვა უნდა მოიცავდეს გზის ყველა ელემენტს, როგორცაა: გზის ღერძი, გზის კიდეები, გზის წარბები, ჭრილისა და ყრილის ნიშნულები, კიუვეტები და სადრენაჟე საშუალებები, წყალსატარი მილები და ა.შ. ასევე უნდა მოხდეს ისეთი ხაზოვანი ელემენტების აზომვა და დაფიქსირება, როგორცაა საკომუნიკაციო საშუალებები: გაზის ან წყლის ცენტრალური მაგისტრალური მილსადენები, მაღალი და დაბალი მძვის ელ-გადამცემი ბოძები, ღობეები, ჭიშკრები, რაც კი მდებარეობს გზის 30 მეტრიან გასხვისების ზოლში.

III.ბ. გეოტექნიკური საველე სამუშაოები და ლაბორატორიული ცდები:

გზის საგზაო საფარის დასაპროექტებლად საჭიროა არსებული გრუნტისა და მიწის ვაკისზე ჩატარდეს შესაბამისი გეოტექნიკური საკვლევადიებო სამუშაოები.

არსებული გრუნტის მზიდუნარიანობის საველე პირობებში განსაზღვრის და საგზაო სამოსის დაპროექტების მიზნით უნდა დადგინდეს გრუნტის საჭირო მახასიათებლები, როგორცაა ე.წ. კალიფორნიული მზიდუნარიანობის კოეფიციენტი (CBR), დეფორმაციის მოდულია და ა.შ.

საველე ინსტრუმენტალური კვლევებიდან მიღებული მონაცემების შედარება-შეჯერება უნდა მოხდეს გრუნტისა და საგზაო სამოსიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევების შედეგებთან. საცდელი ორმოებიდან (ანუ შურფებდან) უნდა შეირჩეს ნიმუშები შესაბამისი ლაბორატორიული ტესტებისათვის, როგორცაა გრანულაცია, CBR, პროქტორი, პლასტიურობა და ა.შ.

საყრდენი კედლების და წყალსატარი მილების მოწყობის ადგილებში, საჭიროა შემუშავდეს გეოტექნიკური პროგრამა, შესაბამისი სიგრძის და რაოდენობის ჭაბურღილების და შურფების გაყვანისათვის, ლაბორატორიული ტესტების ჩასატარებლად ნიმუშების აღებით. გეოტექნიკური პროგრამა უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

ინერტული სამშენებლო მასალების წყაროებისათვის უნდა იქნას მოძიებული ახლო- მდებარე არსებული კარიერები. პოტენციური კარიერების არსებობის შემთხვევაში, მათგან აღებული ნიმუშები უნდა შესწავლილ იქნას ლაბორატორიულად და შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით შეთავაზებული იქნას პროექტის განსახორციელებლად.

ზემოხსენებული საველე და ლაბორატორიული საკვლევადიებო სამუშაოების შედეგები ასახული უნდა იქნას საბოლოო გეოტექნიკურ ანგარიშში.

III.გ. ჰიდროლოგიური კვლევები:

საპროექტო გზის გადამკვეთი წყალშემკრები აუზების იდენტიფიცირება როგორც საველე ისე კამერალურ პირობებში 1:25000-იანი რუკების და ველზე აღებული ტოპოგრაფიული აზომვების საშუალებით.

ჰიდროლოგიური საკვლევადიებო სამუშაოების ფარგლებში მოძიებულ იქნას შემდეგი:

- ატმოსფერული ნალექები (თვიური განაწილება და ინტენსივობა, თვეების მიხედვით ნალექიანი დღეების რაოდენობების ჩათვლით);
- ტემპერატურა (მინიმუმი, საშუალო და თვიური შუალედები წლის განმავლობაში);
- სხვა მნიშვნელოვანი კლიმატური პარამეტრები (მაგალითად, ქარი, ეროზია და ექსტრემალური ტემპერატურების გავლენა).

IV. დეტალური პროექტირება და საინჟინრო ანგარიში:

IV.ა. დაპროექტების სტანდარტები: რეკომენდირებულია დეტალური დაპროექტების პროცესში მიმწოდებელმა იხელმძღვანელოს საქართველოში მოქმედი საერთო დანიშნულების გზების გეომეტრიული და კონსტრუქციული დაპროექტების სტანდარტებით, სამშენებლო წესების და ნორმების მოთხოვნებით და კანონმდებლობით, ხოლო როდესაც აუცილებელია, შედარების

მიზნით და საგზაო საფარის ეკონომიური დაპროექტების კუთხით, აგრეთვე, გზების დაპროექტების საერთაშორისო სტანდარტებითაც.

საპროექტო გზის საანგარიშო ექსპლუატაციის (სამსახურის) ვადა შეადგენს 20 წელს.

IV.ბ. გზის გეომეტრიული ელემენტების დაპროექტების სტანდარტები და პარამეტრები:

გზის გეომეტრიული ელემენტების საანგარიშო პარამეტრები განისაზღვრება დოკუმენტით “გეომეტრიული და კონსტრუქციული მოთხოვნები საქართველოს საერთო დანიშნულების საავტომობილო გზებისთვის” (სსტ გზები 2009 წ.)

გზის სასოფლო და მთიანი ხასიათის გათვალისწინებით, საანგარიშო სიჩქარედ განისაზღვროს 40 კმ/სთ. შერჩეული საანგარიშო სიჩქარისა და გზის ფუნქციონალური კლასიფიკაციის საფუძველზე, საპროექტო გზისთვის მიღებულ იქნა განაკვეთის შემდეგი საანგარიშო გეომეტრიული პარამეტრები:

მომძრაობის ზოლების რაოდენობა:	2
ზოლის სიგანე:	3,00 მ
სავალი ნაწილის სიგანე:	6,00 მ
გვერდულის სიგანე:	1,00 მ
გამაგრებული გვერდული:	0,50 მ

IV.გ. გეოტექნიკური გაანგარიშებები

ზემოხსენებული საველე და ლაბორატორიული საკვლევადიებო სამუშაოების შედეგები უნდა იქნას ასახული საბოლოო გეოტექნიკურ ანგარიშში.

ა) საგზაო საფარი.

საველე და ლაბორატორიული დასკვნების საფუძველზე, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტის შესაბამისად, მიმწოდებელმა უნდა გაიანგარიშოს საგზაო საფარის მინიმუმ ორი ვარიანტი. სასურველია საგზაო საფარის ანგარიშის ორი სხვადასხვა სტანდარტის მიხედვით დამუშავდეს და რომელთაგან დამკვეთისთვის შეთავაზებული იქნება როგორც საინჟინრო, ასევე ფასის მხრივ ეფექტური ვარიანტი.

ბ) ხელოვნური ნაგებობები

ხელოვნური ნაგებობებისათვის საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტებისა და გეოტექნიკური პარამეტრების სწორი შერჩევის საფუძველზე უნდა მოხდეს გაანგარიშება საყრდენი კედლების და წყალსატარი საშუალებებისათვის.

V.დ. ჰიდრაულიკური გაანგარიშებები

ჰიდროლოგიური გაანგარიშების საფუძველზე იდენტიფიცირებული წყლის საანგარიშო ხარჯებისათვის გაანგარიშდეს შესაბამისი წყალსატარი გზის გადამკვეთი მილები და კიუვეტები აგრეთვე, უნდა შემოწმდეს ნაგებობების და ფერდობების ეროზიისგან დაცვის საშუალებების ადექვატურობა. ყოველივე ეს ასახული იქნას ჰიდროლოგიურ ანგარიშში.

VI.ე. საინჟინრო ანგარიში

საინჟინრო ანგარიშში უნდა მოეყაროს თავი ყველა იმ ჩატარებული საველე საკვლევადიებო სამუშაოების ერთობლიობას, რომლებიც საჭირო გახდა დეტალური პროექტის მომზადებისათვის. ასევე, ანგარიში უნდა მიცავდეს ყველა საჭირო ტექნიკური გადაწყვეტილებების და დასაბუთებების ერთობლიობას აუცილებელი დანართების ჩათვლით.

VII. საპროექტო ნახაზები

სტანდარტული საგზაო გადაკვეთების დეტალურ ნახაზზე მითითებული უნდა იყოს მრუდის მინიმალური რადიუსი მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების სახეობებზე დამოკიდებულებით.

საგზაო სამოსის ჭრილებზე მკაფიოდ უნდა იყოს ნაჩვენები სხვადასხვა ფენების განივი განვრცობა, საფარქვეშა დრენაჟი (თუ გათვალისწინებულია) და საგზაო სამოსის მდებარეობა გზისპირა ფერდობების და კიუვეტების მიმართ.

მიმწოდებელმა უნდა მოამზადოს საპროექტო გზების გრძივი პროფილები. ამასთან, სადაც აუცილებელია (მიწის სამუშაოების წარმოების სავარაუდო ადგილებში) დამატებით უნდა მომზადდეს ქვემოთ მითითებული საინჟინრო გეგმები დამკვეთის მიერ მოთხოვნილი ფორმატის და ჩარჩოს მქონე ნახაზების სახით, რომელთა დედნები წარმოადგენენ დამკვეთის საკუთრებას:

ა) გეგმები და ჭრილები

ამ ნახაზებზე, დამკვეთთან შეთანხმებული ფორმით, მოცემული უნდა იყოს გრუნტის ზედაპირის ბუნებრივი დონეები, ჰორიზონტალური და ვერტიკალური მრუდების დეტალები, გრძივი პიკეტაჟი, განივი პიკეტაჟი, კიუვეტების მდებარეობები, ყველა სადრენაჟე და ხელოვნური ნაგებობის აღწერილობები და მინიშნებები, გეოდეზიური რეპერების მდებარეობები, საგზაო კუთვნილებების განთავსების ადგილები, გეგმებზე დატანილი კონტურული ხაზები და ყველა სხვა შესაფერისი ინფორმაცია.

ბ) ტიპიური განიკვეთები

ნაჩვენები უნდა იყოს გზის განიკვეთი ჭრილების და ყრილების უბნებზე, კიუვეტები, საგზაო სამოსის სისქე, ვირაჟის ქანობი და გამაგრებული გვერდული.

გ) განიკვეთი

გრუნტის ზედაპირის დონის და საგზაო ზედნაშენის ჩვენებით;

დ) მიწების ინდივიდუალური ნახაზები, რომლებზეც ნაჩვენები უნდა იყოს 10 მეტრზე მოკლე მალიანი ყველა ტიპის მიწები და სხვა წყალსარინი ნაგებობები, მათი ზედა და ქვედა ბიეფების და ყველა აუცილებელი დამცავი საშუალებების ჩათვლით.

ე) საყრდენი კედლები:

- უნდა მომზადდეს ყველა საყრდენი კედლის განივი ჭრილები და გრძივი პროფილები შესაბამისი ნიშნულების მითითებით. ნახაზებზე გეოტექნიკური პარამეტრების დატანით.

ვ) დამხმარე ნაგებობები:

- უნდა მომზადდეს ყველა სხვა დამხმარე ნაგებობის გეგმები

ზ) მასშტაბები

- ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნეს იოლად აღთქმადი მასშტაბის გამოყენებით.

VIII. სამშენებლო მოცულობები

სარეაბილიტაციო სამუშაოების გამოთვლილი მოცულობები დაფუძნებული უნდა იყოს დაპროექტების ნახაზების საბოლოო ვარიანტებზე. მიწის სამუშაოების მოცულობები გამოყვანილ უნდა იქნას საველე განივი კვეთებიდან, რომლებიც აიგება გზის ცენტრალური ღერძის გასწვრივ მიღებული მეთოდებით ჩატარებული აზომვების საშუალებით. სამუშაოს მოცულობების დეტალური უწყისი, ზოგად შემთხვევაში, უნდა შედგებოდეს შემდეგი თავებისგან:

- მოსამზადებელი სამუშაოები, გაწმენდითი და მიწის სამუშაოები მიწის ვაკისის მომზადების ჩათვლით,

- წყალარინება, მიწები და დამცავი ნაგებობები,

- მიწის ვაკისი, საგზაო საფუძველი და საფარი,
- საგზაო კუთვნილებები, დამხმარე საშუალებები,

IX. ხარჯთაღრიცხვები

სავარაუდო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს საქართველოში მიღებული მეთოდების გამოყენებით.

X. ეტაპობრივი ანგარიშები:

(1) წინასწარი ანგარიში:

- 2 ქართულ ენაზე შედგენილი ასლი + (CD)

(2) შუალედური ანგარიშები:

- 2 ქართულ ენაზე შედგენილი ასლი + (CD)

(3) საბოლოო ანგარიში:

- 2 ქართულ ენაზე შედგენილი ასლი + (CD)

XI. განრიგი და ანგარიშგება

#	ეტაპობრივი ანგარიში	მიწოდების ვადა
1.1	წინასწარი ანგარიში	მომსახურების დაწყებიდან 30 დღეში
1.2	შუალედური ანგარიში	მომსახურების დაწყებიდან 60 დღეში
2.1	საბოლოო ანგარიში*	მომსახურების დაწყებიდან 90 დღეში

*დამკვეთის მიერ “საბოლოო ანგარიშის სამუშაო ვარიანტებთან” დაკავშირებით გაკეთებული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ (თუ ასეთი შენიშვნები იარსებებს), კონსულტანტი წარადგენს საბოლოო ანგარიშებს.

ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ნაბეჭდი (4 ეგზ.) და ელექტროვერსიის სახით, ფონტით - „Sylfaen“, ხოლო ლათინური სიმბოლოები - „Calibri“-ით (პროექტი – „PDF“ და „DWG“, ხარჯთაღრიცხვა – „EXCEL“ ფორმატში);

მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საპროექტო მონაკვეთის მთლიანი პერიმეტრის კოორდინატები აბსოლიტურ ნიშნულებში (x,y,z).

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოების პროცესში არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობით.